ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №337201

ნომერი: AR177750

თარიღი : 04.09.2012

გაცემის თარიღი : 07.09.2012

გაცნობის თარიღი : 13.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გოდაბრელიძე პ/ნ 01005042839
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 7ბ ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

2,20 მეტრის სიმაღლის ღობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. "დილეო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/138), 2,20 მეტრის სიმაღლის ღობის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "დილეო"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012336928 22.08.12წ. საკადასტრო კოდი #01.11.17.003.138; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, მუხიანის დასახლება, I და II მ/რ-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. "დილეო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/138), 2,20 მეტრის სიმაღლის ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობეში ღიობი მოეწყოს შ.პ.ს. "დილეო"-ს კუთვნილ #01.11.17.003.136 მიწის ნაკვეთის მხარეს (სამეზობლო მიჯნის ზონის დაცვის მიზნით).

საპროექტო ღობე განთავსდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge